ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 პარასკევი, 15 დეკემბერი № 1328

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ელენე სოფრონის ასული კარიჭაშვილისა და დავით გიორგის-ძე კარიჭაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 17 ქრისტეშობისთვეს, დანიშნულია ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად

ვლადიმერ მიხეილის ძის ლორთქიფანიძისა.

(ნ. 1—1)

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 20 ამა დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში, საბჭოს სადგომში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც იჯარით გაიცემა ჭიათურაში მდ. ყვირილაზე ხის ხიდის გაკეთების საქმე, 3365 მან. 28 კაპ. ღირებულობისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, უნდა წარადგინოს ვაჭრობის დაწყებამდე გირაოდ 10% აღნიშნულ ღირებულობისა ნაღდი ფულით, ან მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით. ხარჯთ-აღრიცხვა, გეგმა და პირობები მსურველთ შეუძლიან განიხილონ ყოველ-დღე საბჭოს სადგომში. ვაჭრობის შედეგი კრების საბჭომ უნდა დაამტკიცონ.

(ნ. 3—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათამდე.

სადამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი

მოულოდნელი მტერი

ჩვენში ამ ჟამად მრავალ-ნაირი სამეურნეო დაწესებულება არსებობს: სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, ბაღოსნობის საზოგადოება, სააბრეშუმო სადგური, საფილოქსერო კომიტეტი, სამეურნეო სკოლები, საცდელი მინდვრები, სამყნობები და სხვა-და-სხვა; ვინ ჩამოსთვლის მათს სახელწოდებათ?! სად იყო ამ 15—20 წლის წინად ამდენი აგრონომი, ინსტრუქტორი, სპეციალისტი, ინსპექტორი, მიკოლოგი და სხვა მრავალი?! მართლაც და, მეტად გამრავლდა ჩვენში სამიწად-მოქმედო სამინისტროს დაწესებულებანი. მართალია, თვით ეს სამინისტროც ახალია რუსეთში და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ 15 წლის წინედ ცოტა იყო მისი დაწესებულება; მაგრამ ადამიანს მაინც აკვირვებს ასეთი სწრაფი და საგრძნობელი ზრდა-განვითარება სამეურნეო დაწესებულებათა. როდესაც ჩაუფიქრდები ამგვარს ზრდას, უნებლიედ გებადება საკითხი: რა მოუტანეს ამ მრავალმა დაწესებულებებმა და პირებმა ჩვენს ქვეყანას? რა შესძინეს მათ ჩვენს მეურნეობას? რამდენად წასწიეს იგი წინ? ყველა ხსენებულ დაწესებულებათა შესანახად დიდ-ძალი ფული ეხარჯება სახელმწიფოს და ამიტომ ძალიან საინტერესოა ვიცოდეთ, სამაგიეროდ რა მისცეს მათ ქვეყანასა და ხალხს.

ამ საკითხზე პასუხი ისევ იმავე სპეციალისტებმა უნდა მოგვცენ. შეიძლება იმათ პასუხში ნათლად დავინახოთ, რა მიზეზები და გარემოებანი აბრკოლებენ მათ მოღვაწეობას, ამცირებენ მათ ნაშრომ-ნამოქმედარს; ჩვენ-კი შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ მშრალი ფაქტი, რომ მუშაკი ერთობ ბევრია, მაგრამ მათი ნამოქმედარი ხვავიანი არ არის. ჩვენი მეურნეობა იმავ სურათს წარმოადგენს, ჩვენი სოფლელი ისევ მამა-პაპურად, ძველებურად მეურნეობს, არც ახალი დარგი მეურნეობისა, არც გაუმჯობესება ძველისა—არ სჩანს. პირიქით, უკანასკნელ წლებში ჩვენს მეურნეობას მრავალი მტერი გაუჩნდა, რომელთა მეოხებით რაც იყო, ისიც ფუჭდება და შველა-კი არსაიდან სჩანს. ფილოქსერა, ბაღლინჯო, სხვა-და-სხვა გვარი მწერი და ავადმყოფობა ანადგურებს სოფელს, ათასი სამეურნეო დაწესებულება და სპეციალისტები-კი თითქოს არც-კი გვყავდნენ. ლაპარაკი, თათბირი, წასვლა-წამოსვლა ბევრია, საქმე კი სულ უკან-უკან მიდის...

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვამბობთ, რომ ამ დაწესებულებათ და პირთ სასწაული უნდა მოექმედნათ რამ, რომ მარტო მათი ბრალი იყოს ჩვენის მეურნეობის დაქვეითება; მაგრამ ცხადია, რომ მოლოდინი არ გამართლდა, რომ რაოდენობას ხარჯისას არ ეთანასწორება შედეგი...

ჩვენი სამწუხარო მოსაზრება გამოიწვია ერთმა უცნაურმა გარემოებამ, რომლის შესახებ დღეს მთელი ტფილისი ლაპარაკობს. ამას წინად, სრულიად შემთხვევით მუშტაიდში აღმოაჩინეს მცენარეულობის რაღაც

ფელეტონი

პრეზიდენტი კრიუგერი საფრანგეთში

(კორესპონდენცია პარიზიდან).

(შემდეგი *)

პარიზელები ორის კვირით ადრე შეუდგნენ მზადებას კრიუგერის დასახვედრად. „ბურთა დამოუკიდებლობის“ კომიტეტმა განცხადება გააკრა ყველგან და ხალხს უწოდებდა ბურთა ღირსეულ წარმომადგენელის დასახვედრად. ამგვარისავე შინაარსის განცხადება გააკრეს კედლებზე სტუდენტებმა თავის ამხანაგების მიმართ. ფერადი სურათები კრიუგერისა მთელს ქუჩებს მოეფინა. კრიუგერის სახით ღია წერილები აუარებელი იყიდებოდა. სახელდახელოდ მგოსნებმა ლექსები შესთხუზეს კრიუგერის სადიდებლად, სიმღერა გამოიგონეს და მარჯვნივ და მარცხნივ „კრიუგერის სიმღერა“ ისმოდა ქუჩებზე. ბურების ეროვნულ დროშის ფერი პატარა დროშები აუარებელი იყიდებოდა. „კრიუგერი და ბურები, ბურები და კრიუგერი“,—ამის მეტი არა ისმოდა-რა იმ ხანებში პარიზის ბულვარებსა და ქუჩებზე, გაზეთებში, ყავახანებში.

კრიუგერის ჩამოსახდომად დამზადებული იყო ერთი აქაური დიდი სასტუმროთაგანი სკრიბის ქუჩაზე „სკრიბის“ სასტუმრო, სადაც უნდა დახვედროდა პრეზიდენტს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების გენერალურ კონსულის მეუღლე ქ-ნი პიერსონი.

პარიზში მოსვლის დღეს, 24 ნოემბერს, თითქმის მთელი ქალაქი გარედ გამოეფინა, მოედვა ლიონის სადგურს, სადაც მატარებელს პრეზიდენტი უნდა მოეყვანა, და იმ ქუჩებს, რომელზედაც უნდა გაევლო ძვირფას სტუმარს. დილის თერთმეტის ნახევარზე მატარებელი მოვიდა კიდეც. ხალხის მოუთმენელი გუგუნი შორიდან დიდებულად მოისმოდა. ყველას ყელზე გაკეთებული ჰქონდა ბურების პატარა დროშები. ყოველგან კრიუგერის სიმღერას უკრავდნენ.

სადგურზე კრიუგერს მიეგებნენ: კროზიე—საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი, სენატორი გერენი—ვიცე-პრეზიდენტი ბურთა კომიტეტისა, გრებოვალი—ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატები, ქალაქის ხმოსნები, სენატორები, დელეგატები და სხ. გავლენიანი პირნი, წარმომადგენელნი მთელის ერისა, მოსულნი სადიდებლად იმ წმ. მოხუცისა, რომელიც ახორციელებდა ტრანსვაალის უბედურებას. ყველამ მიულოცა მშვიდობით მოსვლა, ქებით მოიხსენიეს ბურები, რომელთაც დაუმტკიცეს ქვეყანას, თუ რა შესძლებია ერთ მუჭა ერს, მამულის სიყვარულით და თავისუფლების აზრით გამსჭვალულს. კრიუგერზე ისე იმოქმედა ამ უანგარო აქტმა თანაგრძნობისამ, რომ გულიც კი აუჩუყდა და მოხუც თვალებზე ცრემლები გამოუბრწყინდა.

ბოლოს, სადგურს მოშორდა პრეზიდენტი და გზას შეუდგა. აქ მაყურებელი მოწამე იყო უებრო სანახავისა. პირველად კრიუგერი შევიდა ორ რიგად დამდგარ დელეგატებ შორის. იქ იყვნენ ტრანსვაალში საბრძოლველად ნამყოფი ვოლონტერები, დელეგატები ნაციონალისტთა, სტუდენტებისა, პატრიოტთა ლიგის წარმომადგენელნი. ყველას თავ-თავისი დროშა ეჭირა და თან „გაუმარჯოს კრიუგერ“-ის ყვირილით ეგებებოდნენ. პრეზიდენტის ლანდოს რესპუბლიკის გვარდია შეკუმშულ ხალხ შორის გზას უკაფავს; საპრეზიდენტო ლანდოს უკან მინისტრები მისდევენ. ხალხი აწვება, რაც ხმა აქვს ჰყვირის: „გაუმარჯოს კრიუგერს! გაუმარჯოს ბურებს!“ ფანჯრებიდან ყვავილებს აყრიან, ხელსახოცებს უქნევენ, ტაშს უკრავენ, ხელით კოცნას უგზავნიან. ცნობის-მოყვარენი ფანჯრებში რომ არ დატეულან, სახლების სახურავებსა და ხეებზე ასულან და იქიდან უყვირიან კრიუგერს. ისიც ქუდმოხდილი ღიმილით თავს უკრავს მარჯვნივ და მარცხნივ მისს მათაყვანებელ ხალხს. მთელს გზაზე ორის თუ სამის ვერსის მანძილზე ასეთივე ამბავია. ეტლების მისვლა-მოსვლა, რა თქმა უნდა, შეწყვეტილია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბულვრებზე ათი და ოცი ათასობით მოიყარა ხალხმა თავი, არსად წესიერება არ დარღვეულა. პარიზს არ ახსოვს, რომ ჯერ ვისმე ასეთის ამბით, ასეთის გატაცებით დაჰხვედრიყო.

თვით „სკრიბის“ სასტუმროსთან ტევა აღარ იყო. როგორც იქმნა მოატანა დიდებულმა მოგზაურმა. ოცი ათასი ხმა ერთად მიეგება კრიუგერს. სასტუმროში დაუხვდა ქ-ნი პიერსონი, რომელმაც თავისს შვილებს და მათს პატარავე ამხანაგებს ამღერა ბურების ნაციონალური სიმღერა: Das Yolksveld von Transvaal. პატარა მომღერლების პირიდან გამოსულმა სიმღერამ პრეზიდენტს გული აუჩვილა და თავი მიიბრუნა თვალებზე მომდგარის ცრემლების მოსაწმენდად.

ამას ზედ მოჰყვა მიღება დელეგატებისა. სენატორებმა, ქალაქის ხმოსნებმა, სხვა-და-სხვა წარჩინებულთ სალამი მისცეს დიდს პატრიოტს, თავის ერის თავისუფლების მხნე დამცველს. სასტუმროს წინ-კი ხალხი ღელავს, თხოულობს კრიუგერის გამოჩენას. ისიც იძულებულია არა ერთგზის გამოჩნდეს

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1327.

ავადმყოფობა, რომელსაც სპეციალისტები „ფესვების სიდამპლეს“ უწოდებენ. თურმე ეს საშინელი სენი ყოფილა, რომელთან ბრძოლაც თითქმის შეუძლებელიაო. როგორც ამბობენ, ეს სენი განადგურებას უპირებს არა მარტო მუშტაიდს, არამედ ახლო მდებარე ბაღებსაც, მათ შორის საბალოსნო სკოლის მამულსაც. ხოლო, თუ სასტიკი ზომები არ იქმნა მიღებული, ადვილად შესაძლებელია — სენი მთელს ტფილისს და მის მიდამოებს მოედოს და სრულიად მოსპოს მცენარეულობაო. როგორც ჰხედავთ, მტერი საშიში ყოფილა და სახუმარო საქმეც არ გაგვჩენია...

მაგრამ ყოველისფერზე საკვირველი ის არის, რომ მტერი მხოლოდ **შემთხვევით** აღმოაჩინეს. აგრონომების აზრით, იგი რამდენიმე წელიწადი უნდა მოქმედობდეს მუშტაიდში და მხოლოდ დღეს გაიგეს მისი მოსვლა. როგორ მოხდა ეს? როგორ მოხდა, რომ ამდენმა დაწესებულებამ და პირებმა, რომელთაც ყოველ წამს საქმე აქვთ მუშტაიდში და საბალოსნო სკოლის მამულში აქამომდე ვერაფერი შეიტყვეს და დროზე ვერ უშველეს საქმეს? როგორ და უნდათ, რომ ხალხს ნდობა ჰქონდეს ამ ახალ დაწესებულებათა? ბ-ნი შავროვი მთელის თავისი შტატით მუდამ სხვებს ეომება, მუდამ იმას გაიძახის, რომ სხვა სამეურნეო დაწესებულებანი რიგიანად ვერ ასრულებენ საქმესაო; მაშ, როგორ-ღა მოუვიდა, რომ ცხვირის წინ შესანიშნავი ბაღი ულპებოდა და არაფერი გაუგია?!

არ ვიცით, შეიძლება ეხლა სპეციალისტებმა ბრძანონ, რომ ამ მტრის შემოსევის ამბავის გაგება წინ-და-წინ არც კი შეიძლებოდაო, მაგრამ საეჭვოა, რომ ამგვარმა თქმამ ვინმე დააჯეროს და ხალხს ნდობა განუმტკიცოს...

ყოველ შემთხვევაში, ეხლა მეცადინეობაა საჭირო, რომ მტერი ძლეულ იქმნას. საჭიროა, ავადმყოფობისაგან დაცულ იქმნას დანარჩენი ტფილისი. ქალაქის გამგეობას უკვე მიუწერია სატყეო და საბაღო კომისიისათვის, რომ მიღებულ იქმნას სასტიკი ზომებიო. ჩვენა გვგონია, რომ საჭიროა უპირველესად ყოვლისა ყურადღება მიექცეს საქალაქო სანერგეს, რომელიც იქვე, დაზარალებულ ადგილის ახლო მდებარეობს. ამ სანერგედან გააქვთ ხეები მთელის ტფილისისათვის და ამიტომ ადვილად შეიძლება სენი იქიდან გავრცელდეს ქალაქში. შეიძლება უმჯობესი იქნეს, რომ სანერგე ეხლავ გადაიტანონ, მაგალითად, ავჭალაში, სადაც ქალაქს თავისუფალი ადგილი აქვს შეძენილი წყლის მილის საჭიროებისათვის...

ვისაც ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის ბაღებსა და საზოგადოდ მცენარეულობის მოშენებას, და ვინც იცის, რამდენი ფული და ენერგია დაუხარჯავს მთავრობასაც და ქალაქსაც ტფილისის მიდამოებში და თვით ტფილისშიაც ხეების მოშინების საქმისათვის, იმისთვის ცხადია, თუ რა ძნელი საკითხი გაუჩნდა დღეს ტფილისს მოულოდნელის მტრის შემოსევის გამო და ცხადია აგრეთვე ისიც, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაწყებულ იქმნას ბრძოლა.

Z.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

13 დეკემბერი.

ლონდონი. „დეილ მაილს“ ატყობინებენ კაპშტადტიდან, რომ 12 დეკემბერს რაზმი, რომელიც შესდგებოდა უმეტეს ნაწილად კაპის ჰოლანდიელთაგან, გადვიდა ორანჟეს მდინარეში ობერდალდრიფტის ახლო და გამაგრდა ზურის მთებში. მის წინააღმდეგ გაიგზავნა ჯარები. კიტჩენერი დიდის სისწრაფით თავს უყრის დიდძალ ჯარს.

„მორნინგ პოსტ“-ს ატყობინებენ კაპშტადტიდან, რომ ფილიპსტაუნში ბურებს მიემხრო 1500 ჰოლანდიელი.

კრადოკი. ინგლისელთა რაზმმა სამის ზარბაზნით 5 დეკემბერს განდევნა ბურები მთებიდან, სტეინბურგიდან 11 მილის მანძილზე, ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ; დაჭრილია 4 ინგლისელი. ბურებმა დასტოვეს ბრძოლის ველზე ბევრი მოკლული და დაიწიეს ზურის მთებისაკენ; იქ ისინი იდგნენ დეკემბრამდე და ვერ შესძლეს ინგლისელების ჯარების წრის გაპობა. ინგლისელებმა 6 დეკემბერს დაიპყრეს სტეინბურგი.

ლონდონი. გაზეთებს ატყობინებენ პეკინიდან, რომ მისიონერების ცნობებით, 8 დეკემბერს მოკრივეებმა მოჰკლეს, პეკინიდან 35 მილის სიშორეზე აღმოსავლეთით, 12 კათოლიკე და 8 კაცი დასწვეს ეკკლესიაში; სამხედრო მმართველობამ გამოძიება დანიშნა.

„სტანდარტს“ ატყობინებენ შანჰაიდან, რომ იქ მისულ ცნობებით, ჩინეთის მთავრობამ დაატუსაღა პრინცები ტუანი და ჩუანი შანსისა და შენსის პროვინციების საზღვარზე. იუსიენს ებრძანა დაბრუნდეს სიენფუში; როგორც ჰფიქრობენ, მთავრობას მისი დასჯა უნდა.

ამ ფაქტებიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, ვითომ ჩინეთის მთავრობა მზად არის აღასრულოს უცხოელთა მოთხოვნანი.

პეკინი. ჩინელები თავს დაესხნენ საფრანგეთის რაზმს ცო-აქსუს მიდამოებში, პაოტინფუდან სამხრეთით. სასტიკის ბრძოლის შემდეგ გენერალმა ბალიუმ დაამარცხა ჩინელები, აიღო ერთი ქალაქი და წაუკიდა ცეცხლი. ჩინელებს მოუკლეს 1000-მდე კაცი. ფრანგებს ზარალი არ მოჰსვლიათ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

※ ფრანგულ გაზეთ «მატინა»-ს მოყვანილი აქვს საუბარი, რომელიც ვითომ გერმანიის იმპერატორსა და ერთ მის სასახლის ქალს ჰქონიათ. ეს ქალი თურმე ძალიან თანაუგრძნობს ბურებს და დაეკითხა იმპერატორს კრიუგერის მიღების თაობაზე.

იმპერატორმა მაშინვე სთქვა, რომ არ მიიღებს კრიუგერს და თანაც დაუმატა:

— როცა ქუჩაში მოჰქრის გაგიჟებული ცხენი, ხალხი, როგორც არა ერთხელ შემინიშნავს, იყოფა მაშინ სამნაირ ჯურად. ერთნი პირდაპირ გადაუხტებიან ცხენს გზაზე და აუცილებლად გაიჭყლიტებიან ხოლმე; მეორენი შეხტებიან სკამზე, იქნევენ ხელსახოცს და დარწმუნებულნი არიან, რომ ამით დააყენებენ ცხენს. და, დასასრულ, მესამენი, რომელთაც ესმით, რომ ვერას გააწყობენ, მიდიან თავიანთ გზაზე. მეც არა მაქვს ნება, რომ გერმანია გზაზე გადავუყენო ინგლისს, იმატომ, რომ მაშინ გაისრისება გერმანია და არა მე. მეორეს მხრით, მე მასხარად გავხდებოდი, რომ უბრალოდ ავხტე სკამზე და დავიწყო ხელსახოცის ქნევა. ჩემი ქვეყნის წინაშე მოვალეობა მაიძულებს, რომ ჩემთვის წავიდე ჩემ გზაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ იმპერატორმა წაიკითხა ერთ უცხოელ გაზეთში, რომ «იმპერატორმა ვილჰელმმა ოღონდ ერთი სიტყვა სთქვას, ინგლისი მაშინვე გაჩერდება და ბურებს დაუბრუნდებათ თავისუფლებაო». იმპერატორმა მხრები აიწია, და ღიმილით სთქვა:

— ვილჰელმ II-მ კი არ უნდა სთქვას ერთი სიტყვა, უფალმა ღმერთმა უნდა ინებოს და ერთ ღამეს ზღვაში ჩაძიროს ინგლისის მთელი ფლოტიო.

※ «დეილი ქრონიკლ»-ს მოჰყავს შემდეგი ამბავი პრეტორიიდან:

«ბურებმა იშოვეს საიდანღაც ლოკომოტივი და რკინის გზით მიდი-მოდიან პიტერმარიცბურგსა და ვარმბადს შუა. ინგლისელთ ჯავშნიანი მატარებელი გამოუყენეს ამ ლოკომოტივს, მაგრამ ჯერ მის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა».

ისღა გვაკლია, რომ ჯავშნიანი მატარებელიც ჩაიგდონ ხელში ბურებმაო, — დასძენს გაზეთი.

※ «მორნინგ პოსტ»-ი გამოსთქვამს თავისს აზრს შესახებ კლემენტსის უკანასკნელ დამარცხებისა და ამართლებს ამ გენერალს მით, რომ მას ბურების წინააღმდეგ ჰყვანდა მხოლოდ ქვეითი ჯარი, როდესაც აქ საჭირო იყო უსათუოდ ცხენოსანი ჯარი. კლემენტსი, რასაკვირველია, არა სტყუის, რადგანაც მის ხელთ არ არის ჯარის ამორჩევა. მაგრამ, რა უნდა ვთქვათ მთავარ-სარდალზე, ანუ სამხედრო სამინისტროზე, რომელიც მხოლოდ 13 თვის ომის შემდეგ დარწმუნდა, რომ ბურებთან საბრძოლველად აუცილებლად ცხენოსანი ჯარია საჭირო, როდესაც სამხრეთ-აფრიკის მცოდნენი ომის დაწყებისათანავე ამბობდნენ ამას? ბოლოს «მორნინგ პოსტი» ირწმუნება რომ ეხლაც ლორდის კიტჩენერის მთელი ჯარი შესდგება უმთავრესად ქვეითა ჯარისაგან და ცხენოსანი ჯარი სულ მცირედა ჰყავსო.

※ ბერლინის გაზეთების სიტყვით, ჰამბურგში კრება მოუხდენიათ ბურების სასარგებლოდ. კრებაზედ დასწრებია აურებელი ხალხი. ამ კრებამ გაჰკიცხა გერმანიის მთავრობის პოლიტიკა ბურების საქმეში; კრებამ დეპეშით მიჰმართა იმპერიის კანცლერს გრაფ ბიულოვს და სთხოვა მას, რომ იგი ეცადოს, რათა სამხრეთ-აფრიკის საქმე სამედიატორო სამართლით იქმნას გადაწყვეტილი.

※ ბელგიაში ბურების დამხმარებელ კომიტეტს ერთად 605 კლუბთან და საზოგადოებასთან განზრახვა აქვს შეიტანოს ბელგიის პალატაში თხოვნა, რომ მთავრობამ წინადადება მისცეს ორივე მეომარ მოპირდაპირეს გადასცენ თავიანთი საქმე გასარჩევად საერთაშორისო სასამართლოს გააგაში.

※ ინგლისის მთავრობა ჰგზავნის და ჰგზავნის ახალ ჯარებს სამხრეთ აფრიკაში. ეხლაც სამხედრო სამინისტროს ბძანება მიუცია, რომ კუნძულ მალტის მეციხოვნე ჯარიდან 400 კაცი გაიგზავნოს ტრანსვაალში.

※ უკანასკნელი ოფიციალური ცნობანი ლორენცო-მარკეზედან ამტკიცებენ, რომ გენერალ ბოტას განზრახვა ჰქონდა კომატიპორტს დასცემოდა. ამ მიზნით მან ჯარიც კი მოაგროვა ამ ქალაქის ახლო. მაგრამ რადგანაც ბოტა ზედ პორტუგალიის საზღვარზე მოქმედებდა, ამიტომ პორტუგალიამ ჯარი გაგზავნა თავის საზღვრის დასაცველად; ამავე დროს ინგლისელებმაც ჯარები მოაშველეს კომატიპორტს და ბოტას განზრახვა შეუსრულებელი დარჩა.

※ პორტუგალიელი პრესსა დიდის ინტერესით ადევნებდა ყურადღებას გერმანიის რეიხსტაგში მომხდარ კამათს შესახებ იმპერატორის უარისა კრიუგერის მიღებაზე; იგი დიდის სიამოვნებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ გერ-

---

და თავი დაუკრას ადამიანთა ზღვას.

ცოტა მოსვენების შემდეგ კრიუგერი გაემართა პრეზიდენტის ლუბეს სანახავად, რომელთანაც შესაფერის პატივით იქმნა მიღებული. ცოტა ხანს უკან ლუბემაც სამაგიერო ვიზიტი გადაუხადა საფრანგეთის სტუმარს. შემდეგ კიდევ მიიღო კრიუგერმა რამდენიმე დელეგაცია და მოისვენა.

შუაღამემდე მანიფესტანტები ბურების ბაირაღებით დადიოდნენ ბულვრებზე და შეუწყვეტლივ ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს კრიუგერს“, „გაუმარჯოს ბურებს“!

25 ნოემბერი მოგზაურობით დაქანცულმა კრიუგერმა მოსვენებას მოანდომა. მხოლოდ ჟამ-და-ჟამ გამოჩნდებოდა სასტუმროს აივანზე და სალამს აძლევდა მის სანახავად თავმოყრილ ხალხს. სასტუმროს სეკრეტარიატში დადებულ ქაღალდზე კი ხელს აწერდნენ მინისტრები და სხვა დიდებულნი, პრეზიდენტის სანახავად მოსულნი. ამავე დღეს სამხრეთ-აფრიკის მოხუც უფროსს ადრესი მიართვეს „ქალთა ლიგამ იარაღის აყრისამ“ და პოლონელთა კოლონიამ.

ამავე დროს სტუდენტები პარიზისა ემზადებიან, რომ მოხუც მეომარს თავისუფლებისათვის დაუმტკიცონ თავიანთი თანაგრძნობა, რომ გამოუცხადონ, რომ ყველაზე მეტად მათი ნორჩი გული გრძნობს ინგლისელთა ძალ-მომრეობის მსხვერპლის ბურთა ერის სვე-ბედს. წინასწარ-კი სტუდენტებმა შემდეგის მოწოდებით მიჰმართეს თავიანთს ამხანაგებს:

„ამხანაგნო“!

„არავის დაავიწყდება, თუ რა ზეიმით დაუხვდა პარიზი პოლ კრიუგერს, კანონიერს უფროსს იმ ხალხისას, რომელიც იცავს მართალს საქმეს, იცავს საქმეს უფლებისას ძალმომრეობისაგან. ჩვენის აზრით, საუკეთესო შემთხვევაა ჩვენთვის, სტუდენტებისათვის, შევერთდეთ მიუხედავათ იმისა, თუ რა აზრისა და მიმართულებისანი ვართ, გავიმსჭვალნეთ კეთილშობილურის აზრით და გამოუცხადოთ ჩვენი უპატივცემულესი თანაგრძნობა ამ გმირულს კარისკაცს თავისუფლებისა და უფლებისას.

„მოგიწოდებთ ყველას, ამხანაგნო, რომ ყოველის წესიერების დაცვით შევუერთოთ მანიფესტაციას ჩვენი გრძნობა. და ეს გრძნობა, ჩვენის აზრით, ერთობრივია. კრიუგერს უნდა მივართვათ ერთი ხელეური ყვავილებისა, რომელსაც „სკრიბის“ სასტუმროში ჩვენი დელეგაცია წაუღებს. ამ დელეგაციას ჩვენც გავყვებით.

„იმედი გვაქვს, რომ ყოველი თქვენგანი სულით და გულით მოინდომებს მონაწილეობა მიიღოს ამ პატივისცემის გამოცხადებაში, რომლითაც ყველას გავაგებინებთ, რომ სასწავლებლის ახალგაზრდობას არ უღალატნია ქველობის ანდერძისათვის და სიმართლისა და თავისუფლების მხურვალე სიყვარულისათვის“.

26 ნოემბერს კრიუგერი ოფიციალურს დარბაზობას შეუდგა. დილის 9 საათზე ინახულა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვალდეკ-რუსსო, რომელმაც ცოტა ხნის უკან მაგიერი დარბაზობა გადაუხადა. ამ ვიზიტის შემდეგ პრეზიდენტს ეწვია დელეგაცია ქალაქის საბჭოსაგან და გამოუცხადა, რომ ქალაქის საბჭო დიდად ბედნიერად ჩასთვლის თავის თავს, თუ ჩვენს სანახავად მობძანდებითო. 11 საათზე კრიუგერი ქალაქის საბჭოსაკენ წავიდა. გზაზე აურებელი ხალხი ყვირილით ეგებებოდა და პატივისცემას უცხადებდა დიდებულს სტუმარს. საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა შესაფერი სიტყვა მოახსენა ძვირფასს სტუმარს. ვიცე-პრეზიდენტის შემდეგ შემდეგის სიტყვით მიჰმართა შერიუმ, სენის მთავარ-საბჭოს თავმჯდომარემ:

„იმისთვის, რომ თავისუფლად იცხოვროთ იმ თავისუფალ მიწაზე, რომელიც თქვენ ორგზის გეკუთვნით, გეკუთვნით იმიტომ, რომ ჰფლობთ მას, გეკუთვნით იმიტომ, რომ წმინდა ოფლი ჩაგიღვრიათ მისს შემუშავებაზე. ჰო, ამისთვის თქვენ ყოველივე შესწირეთ: თქვენი სიცოცხლე, თქვენი სიმდიდრე, თქვენი ოჯახი; ძალუმმა სულის შებერვამ ფეხზე დააყენა მთელი ერი ქალიან-ბავშვიან-მოხუციანად, რათა წინააღდგომოდა შემოსევას, როგორც თქვენ უწოდებთ, ბარბაროსთა, განათლებულ ბარბაროსთა! ამიტომ რომ, ვაგლახ, ბარბაროსობა ხშირად ცივილიზაციის გაწმიდავებულ ზედა-პირს ქვეშ ჰფარავს თვისის მადის სიმკაცრეს და თვისის მოქმედების სიმხეცეს.

„და დღეს, როცა თქვენნი მოწინააღმდეგენი თქვენ დამარცხებულადა გრაცხთ რიცხვ-მრავლობის გადაჭარბებულ უპირატესობითა, თქვენ გაჰბედეთ, ვითარცა ანიბალის დროის რომაელთ, ვითარცა ჩვენთა წინაპართა, 1792 წლის დიდთა პატრიოტთა, სასო არ წაგკვეთოდათ თქვენის მამულის შესახებ. ღმერთმა შეგაძლებინოთ დაიხსნათ თქვენი სამშობლო, როგორც იმათ თავიანთი დაიხსნეს. თქვენ კაცობრიობისათვის სასახელონი ხართ და თქვენი გაქრობა — ერთა შემცირება იქნება!“.

ს—ა

(დასასრული იქნება)

მანიის მთავრობა სწორედ ისე იქცევა ტრანსვაალის საქმეში, როგორც პორტუგალიაო.

⁂ როცა გერმანიის რეიხსტაგში კამათი იყო შესახებ ტრანსვაალის საქმისა, კანცლერმა ბიულოვმა სთქვა, რომ გერმანიას, როდესაც მან მოინდომა 1896 წ. ბურების დახმარება, მხარი არავინ მისცაო; ამის გამო ვერცარას ეხლა უშველის გერმანია ბურებსაო, მას ეხლაც არავინ არ მიეშველება და შეიძლება, რომ მას მარტოდმარტოკას მოუხდეს ინგლისთან ბრძოლაო.

ეხლა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი, განთქმული ქიმიკოსი ბერტელო გაზეთ «ტანში» გადაწყვეტით ამბობს, რომ 1896 წ., მის მინისტრობის დროს, გერმანიას არავითარი მიწერ-მოწერა არა ჰქონია საფრანგეთის მთავრობასთან შესახებ ტრანსვაალის საქმისა და ინგლისთან ომზე ხომ ხსენებაც არა ყოფილა; ასე რომ ბიულოვის განცხადებას, საფრანგეთმა 1896 წ. მხარი არ მოგვცაო,—არავითარი საფუძველი არა აქვსო.

ამას გარდა ბერტელო ამბობს, რომ მან უკვე შარშან 1899 წელს წერილი დაბეჭდა წინააღმდეგ გერმანული გაზეთებისა და განაცხადა, რომ გერმანიას 1896 წ. ხმაც არ გაუცია საფრანგეთისათვის შესახებ ბურების საქმისა. ბერტელოს განცხადებას მაშინვე დაემოწმა აგრეთვე წერილით ლეონ ბურჟუა, რომელიც მინისტრ პრეზიდენტად იყო იმ დროს.

ბერტელო გაკვირვებულია იმის გამო, რომ ბიულოვმა სულაც არ მოიხსენია მისი და ბურჟუას განცხადებანი შესახებ ტრანსვაალის საქმისა.

ბოლოს ბერტელო ამტკიცებს, რომ 1896 წელს, მის მინისტრობის დროს, საფრანგეთის მთავრობა არავითარ დახმარებას არ დაჰპირებია ბურებს. მართალია მან, ბერტელომ, მიიღო ტრანსვაალის რწმუნებული, მაგრამ მას არასოდეს ფიქრად არ მოსვლია ბურების წაქეზება საომრად მძლავრ ინგლისთან, რომელთანაც დიდ სახელმწიფოებსაც გაუჭირდებათ ბრძოლა. მან, ბერტელომ, მაშინვე გამოუცხადა ბურების დელეგაციას, რომ თუმცა საფრანგეთის მთავრობა და საფრანგეთის ერი სულით და გულით თანაუგრძნობენ ბურებს, მაგრამ მაინც საფრანგეთს მარტოკას სხვების დაუხმარებლად არ შეუძლიან მათი შველა იკისროსო. ამით გათავდა მოლაპარაკებაო.

ახალი ამბავი

✦ გზათა მინისტრმა შესაძლებლად დაინახა რკინის გზების ექიმთა კრების ზოგიერთ შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ეხლა ხსენებულ მინისტრის განკარგულებით, სახაზინო რკინის გზის მატარებლებს თან და თან უმატებენ განსაკუთრებულ ვაგონებს ავადმყოფთათვის და ექიმებისათვის. ამგვარი ვაგონი შესდგება ოთხის განყოფილებისაგან: ამბულატორია, ექიმის ოთახი, სადაც იგი ავადმყოფებს მიიღებს, აფთექა და ერთი ოთახიც იმ შემთხვევისათვის, თუ გზაზე რამე უბედურობა მოჰხდა და ვინმე დასახიჩრდა.

✦ გზათა სამინისტროს საჭიროდ უცვნია რკინის გზის მოსამსახურეთათვის სადგომების აშენება სადგომის ფულის მიცემის მაგივრად, რადგან ხშირად ხსენებული მოსამსახურეები ვერ შოულობენ საჭიროდ სადგომებს სამსახურის ადგილის სიახლოვეს.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქ ტფილისს ნება დაერთო მესამე საობლიგაციო სესხის აღებისა. ქალაქის გამგეობა უკვე შესდგომია მოლაპარაკებას როგორც ადგილობრივის, აგრეთვე რუსეთის დიდ ქალაქების საკრედიტო დაწესებულებებთან, თუ რომელი მათგანი მიიღებს გამგეობისაგან საკომისიოდ საობლიგაციო ფურცლებს. რადგანაც გამგეობას ამაზე ჯერ გადაჭრილი პასუხი არ მიუღია, მას დაუდგენია დაინიშნოს სხდომა ამ საგნის განსახილველად. ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, ამ კრებაზე მოწვეულ იქმნებიან ტფილისში არსებულ ყველა ბანკების გამგენი, ზოგი ხმოსნები და საფინანსო კომისიის ყველა წევრები.

✦ ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის სკოლების გამგე კომისიის დადგენილება, რომ ბავშვების პატრონებისათვის საქმის გასაადვილებლად თვითეულ სკოლის გამგემ პირდაპირ მშობლებისაგან მიიღოს ხოლმე თხოვნები და შემდეგ კი ეს თხოვნები უნდა წარმოუდგინონ კომისიას, რომელიც გაანაწილებს სკოლებში ბავშვებს. ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა გამგე-კომისიის დადგენილება.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, განიხილა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის წინადადება, რომ საჩქაროდ წარდგენილ იქმნას ქალაქის მომავალ წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობამ დაადგინა დღეს, 15 დეკემბერს, გამგეობის სხდომაზედ მიწვეულ იქმნას ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისია, რომელთანაც ერთად უნდა განაგრძონ ქალაქის მომავალ წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

✦ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიას უკვე დაუსრულებია 1897 წლის ქალაქის გამგეობის მოქმედების ანგარიშის შედგენა და კიდეც წარუდგენია გამგეობისათვის. გამგეობამ, განიხილა-რა ეს ანგარიში, დაადგინა მოეთხოვოს გამგეობის წევრთ, წარმოუდგინონ გამგეობას 20 დეკემბრამდე თავიანთი განმარტებანი სარევიზიო კომისიის შენიშვნებზედ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ თვის უკანასკნელ სხდომაზე, თანახმად ქალაქის სკოლების გამგე კომისიის დადგენილებისა, ნება დართო ტფილისის ბავშთა სამზრუნველო საზოგადოების გამგეობას გამართოს ავლაბრის მესამე ქალაქის დედათა სკოლის სადგომში ნასადილევს ღარიბ ბავშთათვის უფასო სკოლა.

✦ ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, ქალაქის გამგეობამ, რადგანაც ქალაქის წყლის მილის გამგე ინჟენერი ჩიკალინი სამსახურს თავს ანებებს, დაადგინა მის ადგილას 1901 წ. დანიშნოს ქალაქის ტეხნიკი გ. ზ. ქურდიანი.

✦ ძმათა არზუმანოვების განცხადებას, რომლითაც იგინი სთხოვენ ქალაქის გამგეობას ნება დაერთოთ მათ რიყის ქუჩიდან ციციანოვის აღმართზედ ჟანდარმის ქუჩამდე ხალხის ასაყვან მაშინის გამართვისა, ქალაქის გამგეობა განიხილავს ამა დეკემბრის 23-სა ღამის 8 საათზედ დანიშნულ სხდომაზედ, რომელზედაც მიწვეულნი არიან ქალაქის ტეხნიკოსები, ქალაქის ინჟენერი და ყველა ის ხმოსნები, რომელთაც გამგეობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ბ-ნ რობისთან ფუნიკულერის გასამართავად ხელშეკრულობის პროექტის განხილვაში.

✦ 1897 წ. დეკემბერში მოხდა ტფილისის ქალაქის დამფასებლების არჩევანი. არჩევნებამდე საბჭომ კატეგორიულად გადასწყვიტა, რომ ხმოსანს არ აქვს უფლება რამე ჯამაგიარიანი ადგილი ეჭიროს ქალაქის გამგეობაში. ხმოსანმა კანდურალოვმა განაცხადა, რომ თუ მას დამფასებლად აირჩევენ, იგი უარს ამბობს ხმოსნობაზე. ამ ფორმალურ განცხადების შემდეგ, რომელიც უთუოდ უნდა იყოს ოქმში შეტანილი, კანდუროვი აირჩიეს დამფასებლად და აქამდე იგი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საბჭოს მოქმედებაში. მიმდინარე წლის 10 სექტემბერს გაუთავდა კანდურალოვს სამსახურის ვადა და ხელმეორედ იყარა კენჭი დამფასებელის თანამდებობაზე, მაგრამ მის მაგიერ ამოირჩიეს ბალდასაროვი. ბ. კანდურალოვს უთუოდ არ შეუძლია ისე გასძლოს, რომ ქალაქს არ ემსახუროს და ამიტომ მიუმართავს ქალაქის თავისათვის განცხადებით, სადაც იგი ეკითხება მას, შეუძლია თუ არა მას ხმოსნობა მას შემდეგ, რაც მიზეზი, რომლის გამო მან უარი სთქვა ხმოსნობაზე, აღარ არის. ქალაქის თავმა ეს განცხადება წარუდგინა გამგეობას, რომელმაც დაადგინა: „რადგანაც კანდურალოვმა მხოლოდ შესწყვიტა ხმოსნობა მარტო იმიტომ, რომ მან ჯამაგირიანი თანამდებობა მიიღო თავის თავზე და აგრეთვე იმიტომ, რომ მას ფორმალურად უარი არ უთქვამს (ზემოხსენებული განცხადება რაღა იყო?) ხმოსნობაზედ, თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს ახსნისა („პრავიტ. ვესტ.“ 80 წ. № 8). მოხსენდეს ეს საქმე საბჭოს გამგეობის აზრის ზედ-დართვით, რომ გამგეობა წინააღმდეგი არ არის კანდურალოვი ხმოსნად ითვლებოდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტება კი ეხება იმ შემთხვევებს, როცა არჩეულ პირების წინააღმდეგ რაიმე გამოძიება სწარმოებს; ამ შემთხვევაში არჩეულებს უფლება აქვთ დროებით თავი დაანებონ თავიანთ თანამდებობათ. რა კავშირი აქვს ამ განმარტებას კანდურალოვის საქმესთან, ეს გამგეობის საიდუმლოებას შეადგენს. უთუოდ გამგეობის შეხედულობით, ბ-ნი კანდურალოვი, რომელიც ურიცხვ „საზოგადოებაშია“ სამსახურში, მეტად სასარგებლო საზოგადო მოღვაწედ უნდა მიაჩნდეთ, თუმცა რომელ საბუთზეა აშენებული ეს შეხედულება, ესეც გამგეობის საიდუმლოებაა. კანდურალოვს არსად არაფრით არ გამოუჩენია თავისი უნარი.

✦ ხელოსანთა მოურავს ბ-ნ სერობიანცს გაუვიდა სამსახურის ვადა 8 დეკემბერს. ახალი არჩევნები შესდგება მოხდენილ რევიზიის განხილვის შემდეგ.

✦ ორშაბათს, 17 დეკემბერს, სხვათა საქმეთა შორის ტფილისის ქალაქის საბჭოს განსახილველად წარედგინება ორი საყურადღებო საქმე: წყლის მილის განყოფილების მოანგარიშის ბ-ნ კარტაშევისა, დარაჯის სტეფანიანისა და მეონკანეს ჯანიაშვილის პასუხის გებაში მიცემის შესახებ სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენისა.

✦ როგორც შევიტყვეთ, მთავრობის განკარგულებით დედოფლის წყაროში სახელმწიფო მიწები მოუჭრეს დასასახლებლად 50 სახლობას რომელსაც მოკლე დროში მოელიან რუსეთიდან.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროს კონტროლიორის შეკითხვაზედ შეუძლიანთ თუ არა არა მართმადიდებელთ იუქმონ თავიანთი დღესასწაულები, უმაღლესმა მთავრობამ ის პასუხი მისცა, რომ ეს საქმე დამოკიდებული არის მათის პირდაპირის უფროსისაგან.

✦ 16 დეკემბრისათვის დანიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ნატახტრის წყაროების გამოკვლევის საქმე; წელიწადზე მეტია, რაც ეს კომისია მუშაობს და როდის გაათავებს საქმეს, ღმერთმა უწყის.

✦ ატენისა და ქსნის ხეობის ნავთის გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ იგი უვარგისი გამომდგარა.

✦ სასულიერო მთავრობის განმარტებით, სასულიერო სკოლების გალობის მასწავლებელნი არ ითვლებიან სახელმწიფო სამსახურში და ამიტომ ეს სამსახური არ აძლევს მათ უფლებას პენსიაზე.

✦ სადგურ შორაპნიდან გვწერენ, რომ ხსენებულ სადგურის მოუხერხებლობის და მოუწყობლობის მიზეზით მგზავრები მეტად შეწუხებულნი არიან. შენობა აგებულია ყვირილის პირზე, ძირს ჩასასვლელი კიბე მეტად მაღალია და ზამთარში სახიფათო ჩასასვლელი. გარდა ამისა, მგზავრებისთვის, რომელთა რიცხვი მრავალია, არავითარი თავ-შესაფარი არ არსებობს; ღამის გათევა ხომ ყოვლად შეუძლებელია.

✦ როგორც ლაგოდეხიდან გვატყობინებენ, იქ საშინელი სიძვირეა თურმე, საქონლის ჭირთან საბრძოლველად დაარსებულ „კარანტინების“ გამო. სრული სამი თვეა, რაც იქით მხარეს შეჩერებულია სრულებით მოძრაობა, რაც მეტად აწუხებს როგორც სოფლელებს, ისე ლაგოდეხელებსაც.

✦ იმ პირთ, რომელთაც საკომერციო სასწავლებელი გაუთავებიათ, თუ აფთიექში მოსწავლეებად შესვლას მოინდომებენ, უნდა დაიჭირონ ეგზამენი მხოლოდ ლათინურ ენაში.

✦ ბათუმის ოლქის უფროსს სლავოჩინსკის შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე ქედაში და ხულოში (აჭარა) სამეურნეო სკოლისა და საოჯახო სამრეწველო სახელოსნოს გახსნის შესახებ.

✦ როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს გაუგონია, გარდაწყვეტილია გადაიტანონ ნავთლუღში რკინის გზის სახელოსნოების ნაწილი.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის კანცელიარიაში შემოსულა სოფ. ლოუბანის (ტფილისის მაზრა) მცხოვრებლების შუამდგომლობა. ლოუბნელები თხოულობენ მიეცეთ მათ სესხი სამეურნეო კაპიტალიდან სოფელში წყლის მილის მოსაწყობად. აქამდე სოფლები ჭის წყალით სარგებლობდნენ.

✦ გუშინ, 14 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა ერთი საყურადღებო საქმე ერევნის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგის ბ-ნ აფ. ბიტინსკისა, რომელსაც ბრალად ის ედებოდა, რომ მან თვისი დაუდევრობით დააგვიანა დამნაშავეთა დაპატიმრება და შემდეგ დიდი ხანი გააჩერა ციხეში დაპატიმრებულნი. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ბ-ნი ბიტინსკი და გარდაუწყვიტა ფორმულიარულ სიაში საყვედურის გამოცხადების აღნიშვნა.

✦ ზოგიერთა ექიმების დასახასიათებლად: ერთ ღარიბ ქალს უთხოვნია გამოცდილ ექიმისათვის ენახა მისი ავადმყოფი დედა. ექიმს ზრდილობიანად მიუღია მთხოვნელი, შეუყვანია კაბინეთში და უკითხავს რამდენი ფულის გადახდა შეგიძლიანთო; ქალს უპასუხნია, რომ ეტლის ფულს გადავიხდიო. ექიმი უცბად გაუზრდელებულა და დაუსახელებია ერთი ახალგაზდა ექიმი, ის წამოგყვებათ მაგ ფასადაო.

✦ ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, პოლიციის მე-5 ნაწილში, სომხის ბაზარში, ტერ-გრიქუროვის სახლებში, № 28, უნახავთ მძიმედ დაჭრილი ვიღაც კაცი, რომლის მდგომარეობა ექიმის შემოწმებით საშიშია; დაჭრილს გამოძიების დროს შემდეგი განუცხადებია: «მე არვიცი, ვინ დამჭრა, მხოლოდ ეჭვი მაქვს, რომ მე დამჭრეს სარქის სარქისიანცის შვილებმა, ან მოსესმა ან გასპარამ და ან მათის მოყვრებით ვინმემ; მე სხვასთან საქმე არ მქონია; სარქისა კი, რადგანაც იგი იმალებოდა ოკანეზოვის დაჭრის შემდეგ, მე აღმოვუჩინე მთავრობას; ამის შემდეგ იგი დამემუქრა, შენ ცოტა ხანს იცოცხლებო. გასპარა და მოსეს სარქისოვები პოლიციამ დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

პროვინცია

ლეჩხუმი. ლეჩხუმელს ბევრჯერ და ბევრ რამეში უმუხთლა ბედმა: დ. ცაგერი ქალაქად უნდა გადაკეთებულიყო, რკინის გზის ლიანდაგს უნდა გაევლო ამ არეზე, ე. ი. ქუთაისიდან ონის სამხედრო გზაზე; ეს გზა გაუვლიდა ლეჩხუმს და რაჭასაც. დ. ცაგერის ქალაქად გადაკეთების შესახებ ბევრი, ძლიერ ბევრი ილაპარაკეს; შეკრიბეს საჭირო ცნობებიც. ამოდენა მაზრაში, (640 ოთხ-კუთხი ვერსია და 60 ათასი სული) არც ერთი დაბა არ მოიპოვება, გარდა ლაილაშისა, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას ვაჭარი ებრაელები და სომხები შეადგენენ. მაგრამ ეს უკანასკნელი განაპირად მდებარეობს, ცაგერი კი ცენტრია მაზრისა, რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის საქმეც მიერუდა, კიდევ მადლობა ღმერთს, რომ რკინის გზის ნაცვლად გზატკეცილი მაინც გააკეთეს ქუთაისიდგან ცაგერამდის. აი, ამის გამო ეხლა

ლეჩხუმში მგზავრობა ისე ძნელი აღარ არის, როგორც ეს წინად იყო; სამაგიეროდ სხვა გზების მდგომარეობა ცაგერიდგან სვანეთში და ხონში ისე ცუდია, რომ საჭიროა, რაც შეიძლება დროით მიექცეს მათ ყურადღება, რადგანაც, მხოლოდ გზას შეუძლიან დაუახლოვოს პროვინცია ქალაქს, და ქალაქი კი აუცილებელი საჭიროებაა ამ უკანასკნელისათვის, რადგანაც ის, მხოლოდ ამ უკანასკნელის საშუალებით დებულობს სწავლა-განათლებას და ჰყიდის შინაურ ნაწარმოებს.

საჭიროა აგრეთვე მიექცეს ყურადღება ლეჩხუმის ტყეების გაჩეხვასა და გადაწვას, ლეჩხუმი ტყით ისე უხვად იყო დაჯილდოებული, რომ ლეჩხუმელს მრავალის წლების განმავლობაში, იმას შორს ფეხის გადგმა არ დასჭირდებოდა, მაგრამ აქაური ხალხი, რომელსაც არ ესმის, თუ რა სიმდიდრეა ტყე, კარგა ხანია, რაც შეუდგა ტყის უწყალოდ გაჩეხვას. ვისაც ამ ათი თხუტმეტი წლის წინეთ ლეჩხუმის არეზე უმოგზავრია, დღეს რომ კვლავ მოუხდეს ამ არეზე მოგზაურობა, შემაწუხებელ სურათს დაინახავს.

შემაწუხებელი სურათი წარმომიდგა თვალწინ მე, თქვენს უმორჩილესს მონას, ლეჩხუმში მოგზაურობის დროს ამას წინად. ცეცხლი წაეკიდებინათ საუცხოვოდ ახლად ამოყრილი ტყისათვის; ეს ეხლა ირუჯება, ბევრი უკვე მორუჯულია, დანარჩენსაც იგივე დღე მოელის. ნაცვლად ტყის, ლეჩხუმელს რჩება ცალიერი მინდორი, რომელიც საყანეთ კი არა და საბალახოდაც არ გამოადგება.

ეს წელიწადი ლეჩხუმელებისათვის ვერაფერი საიმედო გამოდგა, თუმცა შიგა და შიგ კი მოვიდა გვარიანად ჭირნახული, მაგრამ ზოგიერთი სოფლები, მაგ.: ნაკურალეში, დვირიში, ცხუკუშერი, ალვი, სანორჩი, ლასურიაში და ზოგიც სხვა, ისე დასეტყვა, რომ თითო თვის სარჩოც არ მოსვლიათ, რის გამოც, უმეტეს ნაწილს ლეჩხუმელისას ეხლაც გუდა ჰკიდია ზურგზე და დახეტიალობს. ურიგო შემოდგომამ კიდე უფრო აზარალა ლეჩხუმლები; სიმინდის მილაგება ხო ვერ მოასწრეს და ვერა და ყურძენიც ხეზე მიახმო და ჩამორეკა უდროო სიცივემა და თოვლმა. ამასთანავე გავრცელდა დ. ცაგერში და მისს ახლო-მახლო სოფლებში მუცელა და, მგონია სამოცამდე სული იმსხვერპლა. სხვა წვრილმანი გადამდები სნეულებანი ეხლაც ბევრია, მაგრამ ვინაა პატრონი.

ა. ხაბულიანი.

დ. ზესტაფონი. ზესტაფონელებს სხვა მრავალ საქმეებთა შორის გასაკეთებლად აქვსთ ერთი დიდი საქმე; ეს არის სკოლის საქმე. ამ საქმის შესახებ ბევრი ილაპარაკეს, ბევრი დაიწერა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ არ იქნა და არა, საქმის დაწყებას და მის სისრულეში მოყვანას ვერას გზით ვერ ვეღირსეთ.

გაზ. „კვალის“ ერთ-ერთი ნომერში ის აზრი იყო გამოთქმული ვითომ, სკოლის საქმის შეფერხების მიზეზი აქაურ სკოლის ზედამხედველი ო. იოსელიანი იყოს. მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია. ვინც ხელს უშლის ამ საქმეს, ეს მალე გამომჟღავნდება თავისდროზედ, ო. იოსელიანი კაი ხანია სკოლის ადგილის გაფართოებას თხოულობდა. საზოგადოებაც, უმეტესობა, თანახმა იყო, იორდანე სიხარულიძემ 100. მ. შემწეობა აღუთქვა, მაგრამ ზოგიერთმა პირებმა საქმის ჩასაშლელად ათას ნაირ ხრიკებს მიჰმართეს...

ოთხ კლასიანი სასწავლებელი რომ უსათუოდ გვჭირდება და იგი აუცილებელი მოთხოვნილებაა, ამას ბევრი ლარი და ხაზი აღარ უნდა... მაგრამ მარტო სურვილი და გაზეთებში წერა არ კმარა...

უმჯობესია და უკანასკნელი საშუალებაც ის არის, რომ თვით ვაჭრებმა მოჰკიდონ საქმეს ხელი, ამოირჩიონ თავიანთ შორის უფრო შეგნებული საზოგადო საქმის მოსიყვარული პირნი და მათ მიანდონ საქმეზედ ზრუნვა...

იმედია, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია და მაზრის მარშალი თანაგრძნობით მოეკიდებიან. განსვენებული ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) მონდომებული იყო და სცდილობდა, ზესტაფონში სამეურნეო სკოლა დაეარსებინა. მისმა მოადგილემ ვერ გამოიჩინა შესაფერი სიმხნევე, და საქმეც ჩაიფუშა. სამეურნეო სკოლის დაარსება იმ დროს, თუ ხერხდებოდა, ჩვენის ფიქრით ახლა უფრო შესაძლებელია ეს, მით უმეტეს, რომ ამ ჟამად ხაზინა იღებს, ყოველ წლივ საქარის სანერგეში შეგირდების შესანახად 2500 მ. და განა აქვე რომ დაარსდეს საშუალო (ან დაბალი) სამეურნეო სკოლა, ხაზინა მეტს არ გამოიღებს! ამას მთელი შორაპნის მაზრა და ნაწილი ქუთაისის მაზრისაც სიხარულით მიეგებება და უკანასკნელ გროშსაც არ დაიზოგავენ...

ამ საქმეს ხელს დიდათ შეუწყობს უმფროსი აგრონომი ბ. სტაროსელსკი; ამ პატივცემულ პირს არა ერთხელ გამოუთქვამს სურვილი ამისთანა სკოლის დაარსებისა შორაპნის მაზრაში...

ჩვენის ფიქრით, ერთსა და იმავე დროს შეგვიძლია ეს ორი დიდი საქმე სისრულეში მოვიყვანოთ, თუ მოვინდომებთ ჩვენი თავისთვის სიკეთეს და არ დავზოგავთ ორიოდე გროშს...

—

ხმა დადის, რომ ქუთაისის საეპარქიო საბჭოს აზრადა ჰქონდეს ყვირილაში გახსნას სასულიერო სკოლის უმცროსი კლასების განყოფილება, რათა ამით რამოდენიმეთ მაინც შეუმსუბუქონ ხარჯი შორაპნის სამღვდელოებას...

ამასთანვე შევიტყვეთ, რომ რკინის გზის დეპოს უმფროს ბატონ გელვის თხოვნა მიუცია, სადაც ჯერ არს, რომ ყვირილაში დაარსებული იქმნას იმისთანა ტიპი სკოლა რკინის გზის მოსამსახურე შვილებისათვის, როგორც ხაშურში და სამტრედიაში არის.

მანოელიძე.

ხიდისთავი, (გურია). ს. ხიდისთავი ადებ მიცემობის სოფელია და ხიდისთაველები კი მოვაჭრე ხელოსანი ხალხია. ხიდისთაველებს არ ძალ-უძთ მარტო ხიდისთავით დაიკმაყოფილონ თავიანთი მრავალგვარი მოთხოვნილებანი. ადგილის და მიწის სივიწროვეს ისინი სხვა-და-სხვა ქალაქებში გადაურეკია (და თუ არ ეს უკანასკნელნი, ხიდისთავს სული აღმოხდებოდა). თუ არ ამ გვარად, რითი უნდა გაისტუმროს ხიდისთაველმა ღმერთი, ბატონი, მტერი, მოყვარე? იგი მიდის ბათუმში, ფოთში, ნოვოროსისკში, ქერჩში და სხ.; მუშაობს ქარხნებში, ნავთ-სადგურებზე, «კურტანში», დგება ლაქიად, მოსამსახურედ, ერთი სიტყვით, «ქვიდან ზეთს ადენს» და ბრუნდება ფულიანი სახლში. ცოლმა აბრუშუმში (ამ დარგს ძლიერ ეტანებიან ხიდისთაველები) აღებული ფულები დაახვედრა ქმარს, შეაერთეს ეს ფულები და ისტუმრებენ ღმერთს, ხელმწიფეს, მტერს, მოყვარეს, მასწავლებლებს და სხ. ხიდისთავში სამოცამდე დუქნებია: ათიოდე საწვრილმანო და ოთხიც საფართლო, მანუფაქტურის. აქ არ არსებობს არავითარი ნიხრი აუცილებელ ნივთების შესახებ, რაიც ნებას აძლევს ვაჭრებს ჰყიდონ ისე, როგორც მათ მოუხდება. თუ ოზურგეთში გირვანქა ხორცი 9 კ., ხიდისთავში იმავე ხარისხის ხორცი გირვანქა 10 კ.; ასევე ითქმის პურზე, ნავთზე და სხ. ძლიერ კარგს იზამს ჩოხატაურის ბოქაული ბ-ნი ქელბაქიანი, რომ ხიდისთაველების ადვირ-წახსნილობას ყურადღებას მიაქცევდეს და ნიხრის შემოღებით ადგილობრივ მომხმარებლებს ცოტათი მაინც გაუადვილებდეს ცხოვრებას.

ხიდისთავი (90 კომლია), ეწევა რა ბასილეთის ორ კლასიან სამინისტრო სკოლას, თორმეტი წელიწადია ინახავს სამრევლო სკოლას, რომელიც წელს ერთ კლასიან საქალებო სკოლად იქმნა გადაკეთებული. მასწავლებელ ქალის შოვნა ძლიერ გასჭირდა. მაგრამ ბოლოს ქ-ნ ლიზა ს—შვილმა განაცხადა სურვილი. ჩამოვიდა ის ქუთაისიდან თუ არა, აუარებელი მოთხოვნილება მიაწყდა სკოლის კარებს. მასწავლებელმა 70 მიიღო, ბევრი ადგილის უქონლობის გამო დაბრუნდნენ სახლში თვალცრემლიანები.

ხიდისთავს ესაჭიროება ორ კლასიანი საქალებო სასწავლებელი, და, იმედია, ქ-ნი ლ. ს—შვილი იკისრებს ამ ფრიად საძნელო, მაგრამ შესაძლებელ მოვალეობას და მამა სოლომონ ანდღულაძეც ისეთ გულმხურვალე მონაწილეობას მიიღებს ხიდისთავის ერთ კლასიან სკოლის ორ კლასიანად გადაკეთებაში, რომელიც გამოიჩინა მის დაარსებაში.

ბ. ბარბალესძე

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 1900 წლის 16 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ლისოგორის ვიწრო ქუჩის მოკირწყლა, სიგრძით 96,21 საჟენი, 854 მანეთის ღირებულებისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(ნ. 3—2)

ზაქარია გრიქუროვის
წიგნის მაღაზიის ახალი მესამე გამოცემა
33 სურათით
გ. ნ. იოსელიანის «საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა» დამატებით.
შედგენილი სახალხო და სამრევლო სკოლებისათვის. (3—3)

ქართველთა ამხანაგობის სტამბაში საჭირონი არიან შეგირდები ასოთ-საწყობში.
ვანქის დიდი ქუჩა, მარტიროზოვის სახლი.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის სადამოს 9 ს. (9 ს 58 წ.

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის სადამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის სადამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის სადამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის სადამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის სადამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში მიდის სადამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა **„დამონებულნი“**, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი
„კვალი“
(წელიწადი მეცხრე)
გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს, **გაფართოვებულის ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

რედაქციისაგან: რადგანაც ახალწ-წლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სივრცის გაფართოვება, ახალის, მუდმივის განყოფილების შემოღება და მით მკითხველებისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა (ევროპის, რუსეთისა და ჩვენის) სურათები და მათი ბიოგრაფიები.

გაზეთი წლიურად ღირს ტფილისში 7 მანეთათ, ტფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით ტფილისში 3 მ. 50 კ., ტფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიანთ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე— პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტთა კორპუსის ახლოს (დროებით, სანამ ახალ ბინაზე გადავიდოდეს).

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახ ლ-ს ნაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კარპე მდივნაძესთან და ყვირილაში ივანე არდაშელთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.
(შ. 5—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Декабря 1900 г.
სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.